MES 6 23 0001281806

02/10/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ - ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ნინო ცხოვრებაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

თეა ლილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ქეთევან კევლიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
თამარ ფიფია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს ქართულ - ამერიკული უმაღლესი სკოლა:
მამუკა მესხიშვილი - დირექტორი
ლელა ფიცხელაური - ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი

შპს ახალი ქართული სკოლა:
ნანა მონიავა - დირექტორი

შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში:
ალი სედათ ასლანი - დირექტორი
მანანა თურქაძე - მრჩეველი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერ ტები):

შპს ქართულ - ამერიკული უმაღლესი სკოლა:
ციალა გაგნიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
თამაზ ცხადაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში:
ირმა ხუციშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ლელა ჯაში - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ეთერი ბროლაძე - ზოგადი განათლების საგნობრივი ექსპერტი
გოგი ლატარია - ზოგადი განათლების საგნობრივი ექსპერტი
ნათია ქათამაძე - ზოგადი განათლების საგნობრივი ექსპერტი
ნინო როსტომაშვილი - ზოგადი განათლების საგნობრივი ექსპერტი
მაია სიხარულიძე - ზოგადი განათლების საგნობრივი ექსპერტი
ლელა კვირტია - ზოგადი განათლების საგნობრივი ექსპერტი
შაქრო ჟღენტი ზოგადი განათლების - საგნობრივი ექსპერტი
ალექსანდრე ლაცაბიძე - ზოგადი განათლების საგნობრივი ექსპერტი
ნათია კოხოძე - ზოგადი განათლების საგნობრივი ექსპერტი

შპს ახალი ქართული სკოლა
ლიანა კობესაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნვეყოფის ექსპერტი
ლელა ბუბაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნვეყოფის ექსპერტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99 /ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2023 წლის 18 სექტემბერს ჩატარდა ონლაინ

რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:30 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით, სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20- მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:
1. შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხის განხილვა;
2.შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხის განხილვა;
3.შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხის განხილვა;
4.შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
5.შპს ახალი ქართულ სკოლის დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხის განხილვა;
6.შპს ახალი ქართულ სკოლის საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხის განხილვა;
7.შპს ახალი ქართულ სკოლის საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხის განხილვა;
8.შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში-ის დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხის განხილვა;
9.შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში-ის საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხის განხილვა;
10.შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში-ის საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხის განხილვა;
11.შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში-ის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
12.შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში - ის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
13.შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში-ის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგში ცვლილებასთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი, შესაბამისად, დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიუხედავად განსახილველი საკითხების სიმრავლისა, წარმოებები ეხებოდა სამ სკოლას. მან მიმართა ექსპერტებს, საბჭოს წევრებსა და დაინტერესებულ მხარეებს და განაცხადა, რომ ერთობლივად წარმოედგინათ თითოეულ სკოლასთან დაკავშირებული საკითხები და შემდეგ ეყარათ კენჭი. აღნიშნული შუამდგომლობა გაიზიარეს საბჭოს წევრებმა.

1. **შპს ქართულ - ამერიკული უმაღლესი სკოლის დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხის განხილვა;**
2. **შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხის განხილვა;**
3. **შპს ქართულ - ამერიკული უმაღლესი სკოლის საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხის განხილვა;**
4. **შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნების პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ციალა გაგნიძემ, წარმოადგინა პრეზენტაცია შპს ქართულ - ამერიკულ უმაღლეს სკოლაში განხორციელებული შეფასებების შედეგების შესახებ.

ციალა გაგნიძემ აღნიშნა, რომ სკოლას ჭყონდიდელის ქ. N18-ში მდებარე ფართზე გავლილი ჰქონდა ავტორიზაცია 2022 წლის 28 სექტემბერს. საბჭოს გადაწყვეტილებით, სკოლას ჭყონდიდელის N18-ში მდებარე კორპუსში განესაზღვრა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა 1250 ერთეულით. ამის შემდგომ, სკოლამ შეიძინა ქ. თბილისში, ჭავჭავაძის N44(ბ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 542.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მდებარე 795.4კვ.მ. ფართის საგანმანათლებლო დანიშნულების შენობა-ნაგებობა და დაექვემდებარა მონიტორინგს ფართის/მისამართის ცვლილების ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ისე რომ მოსწავლეთა რაოდენობა არ გაუზრდია.

2023 წლის 19 ივლისს სკოლამ დამატებით შეიძინა ქ. თბილისში, ჭავჭავაძის 44, 664.51 კვ.მ. ფართის შენობა- ნაგებობა, რომელიც მდებარეობდა ჭავჭავაძის 44(ბ)-ში, შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის მომიჯნავე ტერიტორიაზე. სკოლას სურდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა გაზარდოს 250 მოსწავლით და საერთო რაოდენობა განესაზღვროს 1500 მოსწავლით.
ციალა გაგნიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა ავტორიზაციის მესამე სტანდარტით განსაზღვრული მოთხოვნები და აღნიშნული შეფასდა სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისად.
ასევე წარმოადგინა ვიზუალური მასალა და აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა მოპირკეთების სამუშაოები, რომელიც იყო დასრულებული, რასაც ადასტურებდა სკოლის არგუმენტირებული პოზიციისას წარმოდგენილი ვიზუალური მასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დასკვნები იმდენად კონკრეტული იყო, ჩანდა რომ სკოლა შეძლებდა 1500 მოსწავლის მომსახურეობას. მან მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სკოლის წარმომადგენელმა საბჭოს მიმართა შუამდგომლობით, მიღებული გადაწყვეტილებები ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ, ძალაში შესულიყო 18 სექტემბრიდან, რათა სკოლას შეძლებოდა აღნიშნულ ფართზე სასწავლო პროცესის განხორციელება. საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი აღნიშნულ შუამდგომლობას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართულ - ამერიკული უმაღლესი სკოლის დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25^2-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, განხორციელდეს შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის (ს/კ: 202937983) მიერ ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის ფართის ცვლილება. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 18 სექტემბრიდან.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის,**

		პროგრამის განხორციელების ენა	**ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თბილისი, ჭავჭავაძის N44

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25^2-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, განხორციელდეს შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის (ს/კ:202937983) მიერ ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის ფართის ცვლილება. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 18 სექტემბრიდან.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)**
ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თბილისი, ჭავჭავაძის N44

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25^2-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, განხორციელდეს შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის (ს/კ:202937983) მიერ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის ფართის ცვლილება. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 18 სექტემბრიდან.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)**
ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თბილისი, ჭავჭავაძის N44

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის1500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის **შედეგები:**
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ-შეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16^2 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 28-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 29-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, შპს

ქართულ-ამერიკულ უმაღლეს სკოლას (ს/კ:202937983) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1500-ით. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 18 სექტემბრიდან.

15:40 საათზე საბჭოს შემოუერთდნენ საბჭოს წევრები, ეკატერინე კვირიკაშვილი და ქეთევან ნატროშვილი.

5.შპს ახალი ქართული სკოლის დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხის განხილვა;
6.შპს ახალი ქართული სკოლის საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხის განხილვა;
7.შპს ახალი ქართული სკოლის საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხის განხილვა.

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნების პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, წარმოედგინა შპს ახალ ქართულ სკოლასთან დაკავშირებული სამივე წარმოების ფარგლებში (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის პროგრამების განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება) განსახილველი საკითხების მოკლე მიმოხილვა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლია კობესაშვილმა, პრეზენტაციისას ისაუბრა, თუ რა გარემოებამ განაპირობა დაწესებულების მიერ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების ადგილის/ფართის ცვლილება.კერძოდ:
შპს ახალ ქართულ სკოლას იჯარის ხელშეკრულების თანახმად, 6 წლის ვადით (2028 წლის ივნისის ჩათვლით) უფლება ჰქონდა ესარგებლა შპს „ყაზბეგის 47“ საკუთრებაში არსებული ფართით (ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის N47, მე-3 სართული). 2023 წლის 30 ივნისის შეთანხმების საფუძველზე, მოხდა იჯარის შეწყვეტა 2023 წლის 01 აგვისტოდან. არსებული ვითარებიდან გამომდინარე შპს ახალი ქართულის სკოლის მიერ განხორციელდა ახალი ფართის მოძიება, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისი, ქუჩიშვილის ქ. N6. შენობის მფლობელთან გაფორმდა ექვსწლიანი ხელშეკრულება „International Telcell, LLC (ყოფილი International Telcell inc, დელავერის შტატის კანონების საფუძველზე სათანადოდ ორგანიზებული და დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება)“. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლამ გააკეთა განაცხადი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების/ფართის ცვლილების თაობაზე.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა წინა ვიზიტისას გაცემულ რეკომენდაციებზე და აღნიშნა, რომ რამდენიმე მათგანმა აქტუალობა დაკარგა ფართის ცვლილებიდან გამომდინარე, ხოლო ის რეკომენდაციები რაც ეხებოდა საქმისწარმოების წესს, შინაგანაწესსა და სკოლის ექიმის დოკუმენტაციის წარმოებას, სკოლას გამოსწორებული ჰქონდა.

სკოლამ ასევე კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოიყვანა წამყვან მასწავლებელთან გასაფორმებელი ხელშეკრულება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მესამე სტანდარტთან მიმართებით სკოლა მეტწილ შესაბამისობაში იყო ბ3.4 და 3.5 კომპონენტში, ხოლო სხვა ყველა კომპონენტი შეფასდა სრულ შესაბამისად სტანდარტთან.
ექსპერტმა დასძინა, რომ დაწესებულებამ სავსებით გაიზიარა ექსპერტთა შეფასებები და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. სკოლას მიეცა რეკომენდაციები შესაბამისობის გეგმაში ასახულ ვადებში უზრუნველყოს:
3.4 კომპონენტთან მიმართებით:

- შეათანხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შესაბამის უწყებასთან (სექტემბერი-ნოემბერი,2023 წ.) ;
- მოიპოვოს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ (აგვისტო-ნოემბერი,2023 წ.);
- მოიპოვოს დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ (აგვისტო-ნოემბერი,2023 წ.);
- უზრუნველყოს დამატებითი ვიდეოსამეთვალყურეო კამერების შესყიდვა/სისტემის აწყობა (აგვისტო-სექტემბერი, 2023 წ.);
- უზრუნველყოს ექიმის პოზიციაზე შესაბამისი კადრის მოძიება/დასაქმება (აგვისტო-ნოემბერი,2023 წ.).

3.5 კომპონენტთან მიმართებით:

- შეისყიდოს და მოაწყოს პანდუსი (აგვისტო-სექტემბერი,2023 წ.);
- მოაწყოს ადაპტირებული სველი წერტილი (აგვისტო-სექტემბერი,2023 წ.).

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, სკოლას მიმართა კითხვით, ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილებისას რატომ ვერ მოხდა იმ გარემოებების გათვალისწინება, რაც მოთხოვნილია სტანდარტით. ამასთან დაკავშირებით,სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოკლე დროში მოუწიათ ფართის შეცვლა, რის გამოც ახალი ფართის მოძიება პრობლემებთან იყო დაკავშირებული და განახლებულ იჯარის ხელშეკრულებაში მსგავსი რისკები გაითვალისწინეს. იჯარის ხელშეკრულების გაფორმებისთანავე დაიწყეს შესაბამისი აქტივობების განხორციელება, რათა ახალი ფართი სრულ შესაბამისობაში მოეყვანათ სტანდარტის მოთხოვნებთან.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებთან ერთად იმსჯელა მონტორინგის ფორმასა და ვადაზე.

სკოლის წარმომადგენელმა საბჭოს მიმართა შუამდგომლობით გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2023 წლის 18 სექტემბერი, ვინაიდან სკოლას დაგეგმილი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული ჰქონდა სწავლის დაწყების თარიღად 25 სექტემბერი, ამდენად, სასწავლო პროცესის შეუფერხებლად დაწყების მიზნით, მნიშვნელოვანი იყო გადაწყვეტილებების 2023 წლის 18 სექტემბრიდან ამოქმედება. საბჭოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ შუამდგომლობას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ახალი ქართული სკოლის დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 11
წინააღმდეგი: 1

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, არ დაუჭირა მხარი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხს, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა და მოსწავლეთა უსაფრთხოების თვალსაზრისით არ მიიჩნია მიზანშეწონილად შენობაში სასწავლო პროცესის განხორციელება.

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25^2-ე მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტების შესაბამისად, განხორციელდეს შპს ახალ ქართულ სკოლის (ს/კ: 404909532) მიერ ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის ფართის ცვლილება. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 18 სექტემბრიდან.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თბილისი, ქუჩიშვილის ქ. N6

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2024 წლის 15 სექტემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ცენტრში დოკუმენტაციის წარმოდგენით;
მონიტორინგის ფარგლები: მესამე სტანდარტის კომპონენტები : 3.4 და 3.5.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ახალი ქართული სკოლის საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 1

საბჭოს წევრმა ეკატერინე კვირიკაშვილმა არ დაუჭირა მხარი ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხს, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა და მოსწავლეთა უსაფრთხოების თვალსაზრისით არ მიიჩნია მიზანშეწონილად შენობაში სასწავლო პროცესის განხორციელება.

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25^2-ე მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტების შესაბამისად, განხორციელდეს შპს ახალი ქართულ სკოლის (ს/კ:404909532) მიერ ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის ფართის ცვლილება.
გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 18 სექტემბრიდან.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)**
ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თბილისი, ქუჩიშვილის ქ. N6

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2024 წლის 15 სექტემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ცენტრში დოკუმენტაციის წარმოდგენით;
მონიტორინგის ფარგლები: მესამე სტანდარტის კომპონენტები : 3.4 და 3.5.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ახალი ქართული სკოლის საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისადგილის/ფართის ცვლილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 1

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, არ დაუჭირა მხარი ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილ

ების საკითხს, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა და მოსწავლეთა უსაფრთხოების თვალსაზრისით არ მიიჩნია მიზანშეწონილად შენობაში სასწავლო პროცესის განხორციელება.

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25[2]-ე მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტების შესაბამისად, განხორციელდეს შპს ახალ ქართულ სკოლის (ს/კ:404909532) მიერ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის ფართის ცვლილება.
გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 18 სექტემბრიდან.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)**
ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თბილისი, ქუჩიშვილის ქ. N6

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2024 წლის 15 სექტემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ცენტრში დოკუმენტაციის წარმოდგენით;
მონიტორინგის ფარგლები: მესამე სტანდარტის კომპონენტები : 3.4 და 3.5.

8.შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში-ის დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხის განხილვა;
9.შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში-ის საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხის განხილვა;
10.შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში-ის საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხის განხილვა;

11.შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში-ის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
12.შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში - ის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
13.შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში-ის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა.

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებს და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნების პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირმა ხუციშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლა აქამდე საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებდა კახეთის გზატკეცილზე და მოცემულ ეტაპზე გეგმავდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას სამივე საფეხურზე ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, ლეო კვაჭაძის 19 ნომერში და ქ. მარნეულში. სკოლა იყო ავტორიზებული 2019 წელს და მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრული ჰქონდა 500 მოსწავლე, ხოლო ვიზიტის მომენტისთვის უფიქსირდებოდა 183 აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლე. სკოლაში სწავლება მიმდინარეობდა ქართულ ენაზე.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მესამე სტანდარტთან მიმართებით, ყველა კომპონენტი შეფასდა, როგორც სრულად შესაბამისი.
სხდომაზე ასევე აღინიშნა, რომ სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებული იყო შესაბამის უწყებასთან. ამდენად, აღნიშნული ინდიკატორი საბოლოო დასკვნაში წარმოდგენილი იყო, როგორც სრულად შესაბამისი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირმა ხუციშვილმა, წარმოადგინა ვიზუალური მასალა სკოლის ინფრასტრუქტურის ნათლად წარმოსაჩენად.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, წარმოედგინათ ამავე სკოლასთან დაკავშირებული სხვა წარმოებების შესახებ დასკვნები და შემდეგ მომხდარიყო კენჭისყრა. აღნიშნულს დაეთანხმნენ საბჭოს წევრები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლელა ჯაშმა, წარმოადგინა შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში -ის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების დამატებასთან დაკავშირებით შეფასების შედეგები.
ლელა ჯაშმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილებებზე, მათ შორის ინტერკულტურული პრინციპების გატარებაზე, თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობასა და მასწავლებელებისთვის მიწოდებულ დამატებით სერვისებზე (ტრანსპორტირება, დაზღვევა). ასევე, სამუშაო შეხვედრების პერმანენტულობასთან დაკავშირებით. სხდომაზე სკოლის

დადებით მხარედ აღინიშნა არაფორმალური განათლების მაღალი წილი, ინოვაციური პროექტები და STEM-ის მიმართულებით ოლიმპიადის ორგანიზება, სკოლა ასევე აქტიურად უწყობდა ხელს მშობელთა ჩართულობას.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა 30-მდე მოსწავლე, რომლებსაც ენობრივი ბარიერის გამო მინიჭებული ჰქონდათ სსსმ მოსწავლის სტატუსი.
ექსპერტმა განმარტა, რომ ვიზიტის პერიოდში ქ. მარნეულში არ იყო დასრულებული ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობა, რაც დასკვნის პროექტში წარმოდგენილი იყო ხარვეზად, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისი მასალა, რომლითაც დასტურდებოდა, რომ ხარვეზი აღმოფხვრილი იყო. საბოლოო დასკვნაში მესამე სტანდარტის ყველა კომპონენტი შეფასდა სრულ შესაბამისად.
სასკოლო კურიკულუმის სტანდარტის შეფასების ფარგლებში დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები შეფასდა სტანდართან შესაბამისად.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, მიმართა სკოლას კითხვით, თუ რა მხარდამჭერი მექანიზმები ჰქონდათ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვასთან დაკავშირებით.
სკოლის წარმომადგენელმა, მანანა თურქაძემ, განმარტა, რომ სკოლის თანამშრომლები პირველივე დღიდან ჩართულნი იყვნენ ონლაინ ტრენინგებში, ასევე სკოლამ უზრუნველყო საგნობრივი ექსპერტების მოწვევა მასწავლებლებისთვის ტრენინგების ორგანიზებისთვის.

სკოლის წარმომადგენელმა საბჭოს მიმართა შუამდგომლობით მიღებული გადაწყვეტილებები ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების ფართის ცვლილებისა და ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ ძალაში შესულიყო მიმდინარე წლის 18 სექტემბრიდან, რათა შეუფერხებლად დაეწყოთ სასწავლო პროცესი. საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი აღნიშნულ შუამდგომლობას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში-ის დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25^2-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, განხორციელდეს შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში -ის (ს/კ:400147541) მიერ ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის ფართის ცვლილება. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 18 სექტემბრიდან.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თბილისი, ლისი,ლეო კვაჭაძის N19

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში-ის საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანთლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25^2-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, განხორციელდეს შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში -ის (ს/კ:400147541) მიერ ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის ფართის ცვლილება. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 18 სექტემბრიდან.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თბილისი, ლისი,ლეო კვაჭაძის N19

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში-ის საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25^2-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, განხორციელდეს შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში - ის (ს/კ:400147541) მიერ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის ფართის ცვლილება. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 18 სექტემბრიდან.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)**
ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თბილისი, ლისი,ლეო კვაჭაძის N19

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში -ის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25^1-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლებს საქართველოში -ის (ს/კ:400147541) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 18 სექტემბრიდან.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი მარნეული, გოგებაშვილის ქუჩა N1

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში -მიერ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25^1-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლებს საქართველოში -ის (ს/კ:400147541) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 18 სექტემბრიდან.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი მარნეული, გოგებაშვილის ქუჩა N1

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში-ის მიერ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25^1-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლებს საქართველოში - ის (ს/კ:400147541) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 18 სექტემბრიდან.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი მარნეული, გოგებაშვილის ქუჩა N1

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 16:35 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით